როგორ უნდა გახადო
შენი ქალაქი
უკეთესი
The Congress
Le Congrès
COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

193 ქვეყნის ლიდერთა ჯგუფს წარმოადგენს, რომლებმაც ერთად, მსოფლიოს უკეთეს ადგილად ქცევის დიდი გეგმა შეიმუშავეს.

ამ გეგმას „მდგრადი განვითარების მიზნები“ ჰქვია. მდგრადი განვითარება ნიშნავს აქციო მსოფლიო უკეთეს ადგილად ახლა, ისე, რომ მომავალ თაობას ზიანი არ მიადგეს.

ამ ბუკლეტში გაჩვენებთ იმას, თუ როგორ შეგიძლია საკუთარ ქალაქში ამ დიდი გეგმის განხორციელებაში მონაწილეობის მიღება!

მოდი, პირველად, მეტი გავიგოთ გეგმის შესახებ: გეგმას აქვს 17 მიზანი. მიზნები გვეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორ ვაქციოთ მსოფლიო უკეთეს ადგილად, ისე, რომ ეს პროცესი ჩვენი ქალაქიდან დავიწყოთ. რის შესახებაა მიზნები?

ხალხის გადარჩენა

პლანეტის გადარჩენა

კეთილდღეობა

მშვიდობა

ერთობლივად მუშაობა

დახმარება შენც შეგიძლია!

რას ნიშნავს ხალხის გადარჩენა და მშვიდობა?

ხალხის გადარჩენა

- ყველა ოჯახს უნდა ჰქონდეს საკმარისი ფული, რათა კარგად იცხოვროს
- ყველას უნდა ჰქონდეს საკმარისი საკვები
- ყველა უნდა იყოს უსაფრთხოდ, ბედნიერი და ჯანმრთელი
- ყველას უნდა ჰქონდეს კარგი განათლება, რაც მათ ასწავლის ერთმანეთისა და სამყაროს მიმართ პატივისცემას
- ბიჭებს და გოგოებს ყველა თანაბრად უნდა მოექცეს და მათ ერთნაირი შანსები მისცეს

მშვიდობა

ყველა იმსახურებს იცხოვროს იქ, სადაც არის მშვიდობა და კარგი კანონები, ისეთ ადამიანებთან, ვისაც ჩვენი დაცვა შეუძლიათ. ჩვენ უნდა შევაჩეროთ ძალადობისა და ზიანის მიყენების მიზეზები.

რისი გაკეთება შეგიძლია შენ ქალაქში იმისთვის, რომ დაეხმარო ადამიანებს და ხელი შეუწყო მშვიდობას?

- თუ გაქვს ისეთი სათამაშოები, რასაც არ იყენებ, შეგიძლია ეს სათამაშოები იმ ბავშვებს აჩუქო, ვისაც არ აქვთ
- შენს სკოლაში ან ქალაქში ვინმეს დაჩაგვრას და ბულინგს თუ შეესწრები, შეგიძლია, ამის შესახებ სანდო უფროს ადამიანს ესაუბრო

გამოიყენე ეს სივრცე შენი იდეების ჩამოსაწერად!

- .....
- .....
- .....



ახლა კი, რას ნიშნავს პლანეტის გადარჩენა?

პლანეტის გადარჩენა

- ყველას უნდა მიუწვდებოდეს ხელი სუფთა წყალზე, რომელიც შეუძლია დალიოს, გამოიყენოს დასაბანად და ბაქტერიების ასაცილებლად
- ყველამ უნდა დახარჯოს საკუთარი ფული ჭკვიანურად და ასევე ჭკვიანურად უნდა გამოიყენოს პროდუქტები
- ყველამ უნდა იცოდეს, რომ პლანეტის გადარჩენა ჩვენ ყველას გვჭირდება
- ყველამ უნდა დაიცვას და იზრუნოს წყალქვეშა სიცოცხლეზე
- ყველამ უნდა დაიცვას და იზრუნოს დედამიწაზე არსებულ სიცოცხლეზე



რისი გაკეთება შეგიძლია საკუთარ ქალაქში პლანეტის გადარჩენისთვის?

- შეგიძლია იმის უზრუნველყოფა, რომ ნაგავი ყოველთვის მოათავსო სპეციალურად გამოყოფილ urnebsi და არ დაყარო ქუჩაში, ტყეში ან ზღვაში
- შეგიძლია მშობლებს სთხოვო, გიყიდონ ნივთები იმ საწარმოებისგან, რომლებიც დედამიწაზე ზრუნავენ

გამოიყენე ეს სივრცე შენი იდეების ჩამოსაწერად!

- .....
- .....
- .....

კეთილდღეობა

ნიშნავს ყველამ იცხოვროს სრულფასოვნად და ბედნიერად

კეთილდღეობა ნიშნავს

- ყველას მიუწვდებოდეს ხელი სუფთა ენერგიაზე
- ყველას ჰქონდეს უსაფრთხო, კარგი სამუშაო ადგილები, გამოიმუშაოს ფული და იყოს წარმატებული
- ყველას ჰქონდეს სამუშაო, პროდუქტები და ტექნოლოგია, რაც ჩვენ ცხოვრებასა და საცხოვრებელ ადგილს გააუმჯობესებს
- ყველას უნდა მიუწვდებოდეს ხელი თანაბარ შესაძლებლობებზე და იმაზე, რომ თავი იგრძნოს ღირებულად, დაფასებულად, მიუხედავად ჩვენ შორის არსებული განსხვავებებისა
- ყველას უნდა ჰქონდეს კარგი ცხოვრება სუფთა, უსაფრთხო და მოწესრიგებულ ქალაქში

როგორ შეგიძლია საკუთარ ქალაქში კეთილდღეობის ხარისხის გაზრდა?

- შეგიძლია მერს სთხოვო ქალაქში საკმარისი სათამაშო მოედნების მოწყობა, გზების დაგება და ტრანსპორტით უზრუნველყოფა, რათა უკეთ მიხვიდე მოედნებამდე

- შეგიძლია იბრძოლო უთანასწორობის წინააღმდეგ, ადამიანებს ცუდად არ მოეპყრა იმის გამო, რომ ისინი განსხვავებულები ან ღარიბები არიან

გამოიყენე ეს სივრცე შენი იდეების ჩამოსაწერად!

- .....
.....

- .....
.....

- .....
.....

დაიმახსოვრე, მარტო ამ მიზნების მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ, სპეციალურად არსებობს მიზანი, რომელსაც ჰქვია

...პარტნიორობა

სხვებთან ერთად მუშაობა **მიზნების მისაღწევად** ძალიან მნიშვნელოვანია.

ისაუბრე მიზნების შესახებ **საკუთარ მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან.** ნახე, რისი გაკეთება შეგიძლიათ ერთობლივი ძალებით.

მოდი, შენი იდეები რეალობად ვაქციოთ!

აირჩიე

რომელი მიზანი გაინტერესებს? რა ხდება იქ, სადაც ცხოვრობ?

აღმოაჩინე

შეაგროვე ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით. ჰკითხე მასწავლებელს, ოჯახის წევრებსა და სანდო უფროს ადამიანებს.

გაიგე

ის, რაც აღმოაჩინე, საკუთარ მეგობრებთან ერთად განიხილე. შესაძლოა, ეს იყოს პრობლემა შენ ცხოვრებაში, სხვა ქვეყნებში მცხოვრები ადამიანებისთვის? რა უნდა შეიცვალოს?

გახდი შემოქმედებითი

მერი რომ იყო, რას გააკეთებდი? შემოგვთავაზე იდეები. გამოიყენე სიტყვები, ხელოვნება, ფოტოები ან მოამზადე ვიდეო.

თუკი პრობლემების შესწავლა სევდას მოგგვრის, ყოველთვის შეგიძლია ამის შესახებ მასწავლებელს ან სანდო უფროს ადამიანს ესაუბრო. ყოველთვის გახსოვდეს, იფიქრო იმაზე, თუ რა შეგიძლია გააკეთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად!

ახლა კი დროა შენი იდეები სხვებსაც გაუზიარო!

- გაიგე შენი **მერისა და სხვა უფროსების** სახელები, ვინც ამ პრობლემებზე მუშაობენ
- **მოიწვიე** ისინი საკუთარ სკოლაში ან სხვა თავშეყრის ადგილებში
- გაუზიარე მათ **შენი აზრები** წერილის, ელ-ფოსტის საშუალებით ან პირისპირ
- არ დაგავიწყდეს თხოვნა, რომ **შეგატყობინონ,** თუ რას მოიმოქმედებენ შენი იდეების განსახორციელებლად



წარმოიდგინე, ხარ მერი,
დაწერე შენი იდეები საკუთარი ქალაქის გასაუმჯობესებლად
ეს ბარათი შენი ქალაქის მერს გაუგზავნე

კონგრესი განსაკუთრებულ მადლობას უხდის საკონსულტაციო ჯგუფში გაერთიანებულ ბავშვებს, ექსპერტებს მიშელ ტემპლეტონს, და სტინაჰეიკილას, ასევე ბევერვიკის (ნიდერლანდების სამეფო), კასტელ მაჯორეს (იტალია), ჩესტერფილდის (დიდი ბრიტანეთი). ლუცკის (უკრაინა), მეცის (საფრანგეთი), ნისის (სერბეთი) და პოლტავას (უკრაინა) ბავშვებსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ბუკლეტის პილოტირებისათვის, ასევე, ევროპის საბჭოს ბავშვთა უფლებების განყოფილებას მათი წვლილისთვის.

ყველა თხოვნა დოკუმენტის მთლიანი ტექსტის ან მისი ნაწილის რეპროდუცირებასთან/ თარგმნასთან დაკავშირებით უნდა გაეგზავნოს ევროპის საბჭოს კომუნიკაციების დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex ან publishing@coe.int).

ყველა სხვა მიმოწერა ამ გამოცემასთან დაკავშირებით უნდა გაეგზავნოს ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესს congress.adm@coe.int

დოკუმენტებისა და პუბლიკაციების წარმოების დეპარტამენტი
ევროპის საბჭო
ილუსტრაციები: სიმონ ლიბერმანი
© ევროპის საბჭო, დეკემბერი 2021
დაბეჭდილია „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში“

www.coe.int
www.insecable.com, სტრასბურგი

ევროპის საბჭო არის კონტინენტის წამყვანი ადამიანის უფლებათა ორგანიზაცია. ის აერთიანებს 46 სახელმწიფოს, მათ შორის, ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანას.
ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი არის ევროპის საბჭოს ინსტიტუტი, რომელიც პასუხისმგებელია ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის განმტკიცებაზე წევრ სახელმწიფოებში. მასში შედის ორი პალატა - ადგილობრივი თვითმმართველობის პალატა და რეგიონების პალატა - და სამი კომიტეტი, რომლებიც აერთიანებენ ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების 130 000-ზე მეტი ორგანოს წარმომადგენელ 612 არჩეულ პირს.

www.coe.int/congress
congress.current-affairs@coe.int

PREMS 031822

მდგრადი განვითარების მიზნების საბავშვო ვერსია ბავშვებთან თანამშრომლობით, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესმა მოამზადა. ეს ინსტრუმენტი 6-დან 11 წლამდე ბავშვებს თავიანთ ქალაქებში მდგრადი განვითარების მიზნების საკითხებისა და ტერმინების გამოყენებაში დაეხმარება. ბუკლეტი არ წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიზნების ზუსტ ინტერპრეტაციას.

The Congress
Le Congrès

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE